



II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 11 თებერვლის MES 6 26 0000150421 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება ორ მისამართზე, ქ. თბილისში, ე. ნინოშვილის ქ. 55 და ქ. ქუთაისში, გაპონოვის ქ. 11, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამის - „მასაჟის თერაპია“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 23 თებერვალს ქ. თბილისში (მის: ე. ნინოშვილის ქ. №55), ხოლო 26 თებერვალს ქ. ქუთაისში (მის: ბ. გაპონოვის 11).

ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხები, კერძოდ:

№	<u>წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციის აღწერა</u>	<u>ინფორმაცია შესრულების შესახებ</u>
2.2.1.1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „მასაჟის თერაპია“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის №03-34 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N2) თანახმად, დაწესებულების ღონისძიებაა „მასაჟის თერაპიის“ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსების შესყიდვა როგორც ქ. თბილისის, ისე ქ. ქუთაისის ბაზაზე“, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 5 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის მიერ პროგრამის დარჩენილი რესურსის შესყიდვის პროცესის დასრულებისთვის მოცემული დრო რეალისტურია, რადგან დაწესებულებაში მოცემული პროცესი ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა, ინვენტარის ნაწილი საქართველოში ჩამოსული იყო, თუმცა დაწესებულებისთვის გადმოცემული არ იყო, ხოლო ნაწილის შეკვეთა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გახორციელდა.	მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „მასაჟის თერაპია“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალური რესურსი სრულად აქვს წარმოდგენილი, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციით, ასევე ვიზუალური დათვალიერებით, როგორც ქ. თბილისის ასევე ქ. ქუთაისის ადგილთან მიმართებით. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშერეგული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
მასაჟის თერაპია - ქ. თბილისის მისამართზე	15	10	--	--
მასაჟის თერაპია - ქ. ქუთაისის მისამართზე	15	12	--	--

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა
არ დაფიქსირებულა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
მასაჟის თერაპია	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება
ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში; Higher Vocational Qualification in Massage Therapy
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, გ. გაპანოვის 11
პროგრამის სწავლების ფორმა (დულური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	12
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება
 ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ე. მ. მ. მ. *ნ. თორთაძე*



III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც ქ. თბილისის, ისე ქ. ქუთაისის ბაზაზე. „პირველადი გადაუდებელი დახმარების“ მოდულის ყველა რესურსი (დინამომეტრი - კუნთების ძალის გასაზომად, ერთჯერადი CPR სახის ნიღაბი (სტუდენტების რაოდენობის მიხედვით), სისხლდენის სიმულატორი, ლეიკოპლასტიკი, Emergency blanket/ემერჯენსის პლედი, ჩვილის გულ-ფილტვის რეანიმაციის მულაჟი, მოზრდილის გულ-ფილტვის რეანიმაციის მულაჟი, AED-ავტომატური გარეგანი დეფიბრილატორის სიმულატორი, ფარი საფიქსაციო ღვედებით და კისრის საფიქსაციო მოწყობილობით, კისრის უნივერსალური საყელო (მოზრდილი), კისრის უნივერსალური საყელო (ბავშვი), არტაშანების კომპლექტი კიდურებისათვის, კენდრიკის არტაშანი, ბლაგვწვერიანი მაკრატელი, პგდ ბროშურა ლამინირებული სახით) ხელმისაწვდომია დაწესებულების ორივე მისამართზე,

დაწესებულება ორივე მისამართზე (ქ. თბილისი და ქ. ქუთაისი) უზრუნველყოფს 15-15 პროფესიული სტუდენტის სწავლებას. სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით და ყველა საჭირო რესურსით. დაწესებულებას ქ. ქუთაისის მისამართზე ხელშეკრულება გაფორმებული აქვს რეაბილიტაციის ცენტრთან „ნაიო“. ექსპერტები გაესაუბრნენ სარეაბილიტაციო ცენტრის ხელმძღვანელს და პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისთვის შერჩეულ პერსონალს. სარეაბილიტაციო ცენტრი მოქმედია, დატვირთულია პაციენტებით და აქტიურად ემსახურება სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებს. დაწესებულება მზადაა მიიღოს 15 პროფესიული სტუდენტი 2 ნაკადად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „მასაჟის თერაპია“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

ქ. თბილისის მისამართზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მასაჟის თერაპია“ (მეხუთე დონე) დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს პროფესიული განათლების 16 მასწავლებელი. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს პროფესიული განათლების 7 მასწავლებელთან, ხოლო დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით - პროფესიული განათლების 9 მასწავლებელთან.

ქ. ქუთაისის ლოკაციაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „მასაჟის თერაპია“ განსაზღვრული ჰყავს პროფესიული განათლების 15 მასწავლებელი. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს პროფესიული განათლების 6 მასწავლებელთან, ხოლო დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით - პროფესიული განათლების 9 მასწავლებელთან. თითოეული მოდულისთვის დაწესებულებას ჰყავს პროფესიული განათლების მინიმუმ 2 მასწავლებელი და მათი დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს, კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამას დანართად ახლავს განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია. პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობის, სასწავლო გეგმის და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მასაჟის თერაპია“ განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს სასწავლო პროცესის დაწყებისას გავლილი აქვს ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კალენდარული გეგმის შემუშავების და პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხებზე. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - „მასაჟის თერაპია“ ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი ორივე ლოკაციაზე, რომელთაც აქვთ როგორც სწავლების, ასევე სპორტის სფეროში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუება პროგრამის ხელმძღვანელებთან. პროგრამის ხელმძღვანელები იცნობენ საკუთარ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობენ ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი ორივე ლოკაციაზე, რომლებიც ჩართულნი არიან პროფესიული მოდულების განხორციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - „მასაჟის თერაპია“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდულიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლის და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყავს და მსგავსი გამოცდილებაც არ გააჩნია.

კოლეჯს, ქ. თბილისის მისამართზე ამ ეტაპზე ჰყავს ერთი სსსმ პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად დაწესებულებამ წარმოადგინა სსსმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესში მონაწილე სპეციალისტთა გუნდის შეხვედრის ოქმი, ოქმის თანახმად, სპეციალისტთა გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ სსსმ პროფესიული სტუდენტი, შეფასდეს მოდულის/მოდულების სტანდარტულ მოთხოვნებთან მიმართებით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ მიიღოს მის მიერ დადასტურებული შედეგების შესაბამისი დოკუმენტი. შესაბამისად კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალიტი, რეგულაციის თანახმად დაწესებულებამ უზრუნველყო ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ასისტენტის სასწავლო პროცესში ჩართულობა. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სსსმ პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც კმაყოფილებით აღნიშნა დაწესებულების თანამშრომლებისა და პროფესიული მასწავლებლების ყურადღება მის მიმართ. ექსპერტები ასევე გაესაუბრნენ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენტი აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესში, მას ამ ეტაპზე არ სჭირდება დამატებითი ადაპტირებული სასწავლო გეგმა/რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „მასაჟის თერაპია“ შედგენილია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების ნაწილში შედის: პროფესიული სტუდენტის ვაუჩერულ დაფინანსებას და პროგრამულ დაფინანსებას, ხოლო ხარჯების ნაწილი მოიაზრებს: პროფესიული მასწავლებლების ანაზღაურებას, მასალა-ნედლეულის ხარჯებს; ოფისის ხარჯებს და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარი (ორივე მისამართზე) 9 პროფესიული სტუდენტია.

ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მასაჟის თერაპია“;
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;
3. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - ააიპ რეაბილიტაციის ცენტრი „ნაიო“;
4. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუების შედეგები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
6. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
7. დაწესებულების პერსონალთან და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები.

შეფასება:

- შესაბამეა
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

12..03.2026 წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: